შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14(9.924)

9-16 მაისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„როცა გაზაფხული ბაზარშიც აღარ იყიდება“...



გაზრდილი ფასები, განახევრებული მომხმარებელი -რეალობა, რომელიც 2020 წლის გაზაფხულის მახასიათებელია. მყიდველები გაძვირებულ პროდუქტს შემოსავლის სიმცირის გამო ვეღარ ყიდულობენ.

ეპიდემიიდან მესამე თვეს მოქალაქეთა ნაწილი ფასების მკვეთრ ზრდაზე საუბრობს. საზოგადოების პრეტენზიებს ამყარებს „საქსტატის” აპრილის ინფლაციის მაჩვენებელი. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაძვირდა შემდეგი პროდუქტები:

ხილი და ყურძენი (45.4 %);

რძე, ყველი და კვერცხი (23.2 %);

შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (16.9 %) ;

ხორცი და ხორცის პროდუქტები (15 %);

თევზეული (14.9 %);

ბოსტნეული და ბაღჩეული (14.1 %);

ზეთი და ცხიმი (11.0 %);

მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (10 %);

ყავა, ჩაი და კაკაო (10 %)

პური და პურპროდუქტები (8.4%)

აპრილში წლიური ინფლაციის დონე 6.9 პროცენტია. ფასების ზრდას გამყიდველები და მომხმარებლები დედოფლისწყაროში აგრარული ბაზრის დახურვასა და პანდემიის გამო ჩაკეტილ ზონებსა და მოქმედ აკრძალვებს უკავშირებენ.

„ამბობენ, მარნეულსა და კაბალში კიტრი 70 თეთრი ღირსო, მაგრამ სუპერმარკეტებში მათი ფასი 3,50 ლარია. როგორც თქვეს, იქ კომპანიები „ჯიბე“ და „მაგნიტი“ შევიდნენ. გლეხებისგან პროდუქცია იაფად იყიდეს და მაღაზიებში ძვირად ყიდიან. ხედავთ, ჩვენთან ბაზარი დაკეტილია. სხვა რა გზა გვაქვს, მარტო მაღაზიების იმედად დავრჩით“-აცხადებენ დედოფლისწყაროელები.

მომხმარებლები ჩივიან, რომ ფასები მკვეთრად მომატებულია იმ პროდუქტებზეც, რომელთა ფასიც სახელმწიფომ დააზღვია.

„წიწიბურა, მაკარონი ვიყიდე და იმედი მქონდა, რომ ძველ ფასს გადავიხდიდი. ტელევიზიით მოვისმინე, რომ ამ პროდუქტებზე ფასები არ გაიზრდებოდა. სახელმწიფომ სერიოზული თანხა გამოყო ამისთვის, მაგრამ, ვხედავ, რომ გაცილებით ძვირის გადახდა მიწევს. ეკონომია უნდა გავწიო, თორემ მეორე პენსიამდე მაღაზიაში სავაჭროდ მოსვლას ვეღარ შევძლებ“-ამბობს 73 წლის ზინა ბებო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ პროდუქტებზე ფასების მატებას იმით ხსნიან, რომ ბევრმა კომპანიამ მათი შეთავაზებით არ ისარგებლა. სახელმწიფოს ინიციატივა და ამ პროგრამაში ჩართვა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა. ამიტომაც ბევრმა კომპანიამ სახელმწიფოსთან თანამშრომლობას თავი აარიდა და მოგებაზე ზრუნვა ხალხის ჯიბის დაცარიელების ხარჯზე გადაწყვიტა.

კორონავირუსმა ინფლაცია მთელ მსოფლიოში გამოიწვია და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება - განმარტავენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. უწყება ფასების დარეგულირებაზე საუბარს მიზანშეწონილად მას შემდეგ მიიჩნევს, როცა ეკონომიკის სრულად ამოქმედება დაიწყება. როგორც მინისტრის პირველი მოადგილე განმარტავს, ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა იმპორტირებული სეზონური ხილისა და ბოსტნეულის შემოსვლამ გამოიწვია. თუმცა, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ პროდუქტებზე: ბურღულეულსა და რძის ნაწარმზე ფასი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. საქსტატის მონაცემებით, ფასები აპრილში ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებითაც 4.9 პროცენტით გაიზარდა. ფასების ზრდა დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის, მოწყობილობების და ამბულატორიულ-სამედიცინო მომსახურების ქვეჯგუფებზე. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში, სადაც ფასები გაიზარდა 16.1 პროცენტით.

ქართული ვალუტის მკვეთრი ვარდნის გამო, ინფლაცია ფერმერულ მეურნეობებსაც შეეხო. საქონლის კომბინირებული საკვებისთვის საჭირო დანამატები უკვე გაძვირდა. ფერმერები ამბობენ, რომ იძულებულები გახდებიან, თავადაც გააძვირონ ხორცპროდუქტები და რძის ნაწარმი.

ის ასოციაციები კი, რომლებიც უშუალოდ ფერმერებს აერთიანებენ, მომავალს ამ ეტაპზე მუქ ფერებში ხედავენ და სახელმწიფოსგან სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ადამიანების დახმარებას ითხოვენ.

p.s. ახალი კორონავირუსის დროს ალბერ კამიუს “შავი ჭირი” მახსენდება. პანდემიისას გაზაფხულს ფერები ეცრიცება. სიხარულიან დღეებს მრუმე დღეები ენაცვლებიან და ბუნების გამოღვიძების სიხარულს შთანთქავენ. ამ დღეებში ბაზრის ტერიტორიაზე დაცარიელებული დახლები გვხვდება. აქ აღარც პროდუქტი იყიდება და აღარც ყვავილები. ეს ის დროა, როცა “აქ გაზაფხული ბაზარშიც აღარ იყიდება”...

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

ეპიდსიტუაცია საქართველოსა და კახეთის რეგიონში

ლუგარის ლაბორატორიაში კახეთიდან კორონავირუსზე გაგზავნილი 82 ანალიზიდან 70 უარყოფითია. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის კახეთის განყოფილების ხელმძღვანელმა, ნელი ხიზანიშვილმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, სინჯების გაგზავნა ლუგარის ლაბორატორიაში კვლავაც იგეგმება.

„საკარანტინო სივრცეებიდან და ე.წ. ცხელების ცენტრიდან გუშინ აღებული და ლუგარის ლაბორატორიაში კორონავირუსზე გაგზავნილი 82 ნიმუშიდან 70 უარყოფითია, დანარჩენი 12 პასუხი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი,- განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის კახეთის განყოფილების ხელმძღვანელმა, ნელი ხიზანიშვილმა. კახეთიდან ლუგარის ლაბორატორიაში სულ 1 483 სინჯია გაგზავნილი, აქედან 587 მედპერსონალის, ხოლო 383 კარანტინის სივრცეებიდან. რაც შეეხება ჩვენს რაიონს, დედოფლისწყაროში ეპიდსიტუაცია სტაბილურია. როგორც გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელი მარიეტა გონაშვილი აცხადებს, თვითიზოლაციაში არც ერთი პირი არ იმყოფება. სასწრაფო დახმარების პერსონალიდან აღებული 41 ნიმუშის პასუხი უარყოფითია. დამატებით სამედიცინო პერსონალის 75 ბიოლოგიური ნიმუში გადაგზავნილია ლუგარის ცენტრში და პასუხი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. ქვეყნის მასშტაბით კი კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევათა რაოდენობაა - 623, მათ შორის გამოჯანმრთელებულია - 288, გარდაცვლილია - 10, კარანტინის რეჟიმშია - 4702, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 459, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობაა - 3.

პროექტი „ვებსკოლა“ დაიწყო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აბიტურიენტებისთვის ახალი პროექტი „ვებსკოლა“ დაიწყო https://el.ge/webinars

პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლებისა და „ტელესკოლის“ დანერგვის შემდეგ, ახალი პროექტი აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაში გაუწევს დახმარებას. პროექტის ფარგლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლები აბიტურიენტებისთვის ჩაატარებენ ვებინარებს, რომლებიც პლატფორმა https://el.ge/ -ზე აიტვირთება. ვებინარების განრიგი ყოველკვირეულად განახლდება და ეტაპობრივად ყველა საგანს მოიცავს. ახალი პროექტი აბიტურიენტებისთვის 4 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. ვებინარებზე დარეგისტრირება ნებისმიერ მსურველს

2 მაისიდან შეუძლია ვებგვერდზე https://el.ge/ , თითოეული ვებინარის ჩანაწერი შეინახება და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მსურველისთვის. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ღიად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, შეკითხვები, სურვილები და შენიშვნები, რაც განიხილება და გათვალისწინებული იქნება შემდგომი ვებინარების დაგეგმვისას.

კორონავირუსის პრევენციის მიზნით პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამინისტროს დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდა დაევალა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები 600 ლარიან დახმარებას მიიღებენ

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები ერთჯერად ფულად სოციალურ დახმარებას მიიღებენ. საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება 9 მაისთან, ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღო.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დახმარების ოდენობა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის შეადგენს 600 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისთვის 300 ლარს.

ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების გაცემას თბილისში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციარებს დახმარებას სოციალური მომსახურების სააგენტო ჩაურიცხავს.

დედოფლისწყაროელი ომის ვეტერანები დამატებით 250 ლარს მიიღებენ

გამარჯვების დღეს, 9 მაისს, დედოფლისყაწაროში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებიდან ცოცხალი სამი ადამიანი იზეიმებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინფორმაციით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ომის ვეტერანები დამატებით 250 ლარს მიიღებენ. მომავალ კვირას კი, მათ სახლებში ესტუმრება და გამარჯვების დღეს სიმბოლური საჩუქრებით პირადად მიულოცავს.

ქართველი დიზაინერი ამერიკაში

39 წლის დიზაინერ თეა ოთარაშვილის შეკერილი კაბით არაერთი ცნობილი ჰოლივუდელი ვარსკვლავი იწონებს თავს. ის წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა. თეას ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები ჰქონდა და ამერიკაში მისი წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო. არაერთი რთული ოპერაციის ჩატარება მოუხდა და შედეგებზე დაკვირვებით, მას ამერიკელმა ექიმებმა „რკინის იღბლიანი გოგო“ შეარქვეს. რამდენიმე დღის წინ თეას ვირუსი -კოვიდ 19 დაუდასტურდა, მკურნალობის კურსს სახლში გადის.

თეა ოთარაშვილი: უკვე სამწელიწადნახევარია, რაც ამერიკაში ვცხოვრობ და ასეთი აქტიური და ენერგიული ქვეყანა მსოფლიოში არ მეგულება. იმდენი ხალხი მოძრაობდა. გადასასვლელებზე კი შეუძლებელი იყო გადასვლა. ახლა ყველაფერი გაჩერებულია. მანჰეტენზე ვიყავი ამას წინათ და თავი ფილმში მეგონა. ხალხი გარეთ არ გამოდის, ქუჩაში არ მოძრაობენ, ძალიან შეშინებულები არიან. თუმცა, ალბათ, დაიღალნენ სახლში ჯდომით, ფულიც შემოელიათ და ნელ-ნელა იწყებენ აქტიურ ცხოვრებას. ექიმების ინფორმაციითაც, საავადმყოფოებში მძიმე პაციენტების რაოდენობაც შემცირდა. სავარაუდოდ, სიტუაცია მალე გამოსწორდება, თორემ უკვე დეპრესია მეწყება. ყველა ნამი გათვლილი მქონდა, ცნობილ დიზაინერებთან მიწევს მუშაობა, უამრავი საქმე მქონდა დაგეგმილი და ახლა, გაჩერებული ვარ, სხვათა შორის, ვირუსი რომ მოედო, ძალიან დიდი პანიკა მქონდა. ქრონიკული დაავადებები მაქვს და მაქსიმალურად ვიცავდი თავს.

-მიუხედავად იმისა, რომ თავს მაქსიმალურად იცავდი და თან, შენი დაავადებების გამო, რისკ ჯგუფს განეკუთვნებოდი, მაინც კოვიდ-19 ვირუსის მატარებელი გახდი. რამდენი ხანია, რაც დაგიდგინდა, ახლა როგორ ხარ და რომ გაიგე, ვირუსი გვქონდა, როგორი იყო შენი განცდა.

- დიახ , ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები მაქვს და ვცდილობდი, გარეთ არ გავსულიყავი, თუ მიწევდა, პირბადის და ხელთათმანების გარეშე არ გავსულვარ. რამდენჯერმე ვიყავი აფთიაქში, ერთხელ მაღაზიაში და ერთხელ -ექიმთან, სისხლის ანალიზის გასაკეთებლად და არ ვიცი, საიდან შემხვდა ვირუსი. დაავადება ერთი კვირის წინ დამიდგინდა. მადლობა ღმერთს, მე მსუბუქი ფორმით მაქვს. ვისაც ვეკონტაქტები და ეს დაავადება ჰქონდა, მეუბნებიან, ძალიან მძიმედ გადავიტანეთო. ორი დღე მქონდა სიცხე, გული მიჭერდა, თუმცა სუნთქვის პრობლემა არ მქონია. ჩემს რევმატოლოგს შეეშინდა და ფილტვების გადასაღებად გამაგზავნა..გულსა და ფილტვებზე პრობლემა არ აჩვენა, თუმცა, სისხლის ანალიზი მაინც ამიღეს კორონავირუსზე, დამინიშნეს ანტიბიოტიკები და წამოვედი სახლში. ბოლომდე დარწმუნებული ვიყავი, რომ კორონავირუსი არ მქონდა, სიცხე უბრალოდ გაციების ბრალი იყო და მშვიდად ვიყავი. რომ დამირეკეს და მითხრეს, კოვიდ-19 დაგიდასტურდათო, შოკში ჩავვარდი. მერე დავფიქრდი, მოვიკრიბე ძალა, გარიგება დავდე ვირუსთან და სოციალურ ქსელში დავწერე სტატუსი, „ესეც ჩემი კორონა“. დავმეგობრდით. მოლაპარაკებებს ვაწარმოებ. შემპირდა, ჩემთვის ვიჯდები ჩუმად ორი კვირა, არაფერს დავაშავებ. ოღონდ არ გამაგდო სახლიდანო, ვნახოთ როგორი სიტყვის „კაცია“ მე კარგად ვგრძნობ თავს. ჯერჯერობით, თავისთვის ზის ჩუმად ორგანიზმში და თავის პირობას ასრულებს, არაფერს მიშავებს. ამის მერე დავურეკე ჩემებს საქართველოში და ეს ამბავი

ვუთხარი. ბავშვმა ძალიან განიცადა. იმდენად შეეშინდა, აღარ მეკონტაქტებოდა, რომ ვურეკავდი, ხმას არ იღებდა, მხოლოდ მიყურებდა. ალბათ, ეგონა, მოვკვდებოდი, მეც შემეშინდა, როცა გავიგე, მაგრამ მერე რომ ვნახე, სიმპტომები არ გართულდა, შიშმაც გადამიარა. არ დამჭირდა ჰოსპიტალიზაცია, სახლში ვმკუნალობ და თავს კარგად ვგრძნობ. თან, ჩემს თავზეც ფსიქოლოგიურად დავიწყე მუშაობა -შემოვუძახე, მედიტაციები ჩავრთე და ამან კარგად იმოქმედა, დაავადება

/გაგრძელება გვ.7/

შეზღუდვების მოხსნის მეორე ეტაპი დაიწყო

საქართველოში შეზღუდვების შემსუბუქების მომდევნო ეტაპი შემდეგი კვირიდან, ქალაქების გახსნით დაიწყება და ტურიზმის ამოქმედებით გაგრძელდება. 7 მაისს მთავრობამ პოსტკრიზისული გეგმა წარმოადგინა:

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ გადავდივართ პოსტკრიზისული ეკონომიკის მართვის ეტაპზე, -ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებული ეკონომიკური ჯგუფის სხდომაზე განაცხადა, სადაც ტურიზმის გახსნის ანტიკრიზისული გეგმა წარადგინა.

მისი თქმით, განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა სექტორალურ მიმართულებებს, რომელთაგან პირველი არის ტურიზმი.

„სექტორალური თვალსაზრისით პირველი იქნება ტურიზმი, შემდგომ სოფლის მეურნეობა და ფერმერების მხარდაჭერა, შემდგომ დეველოპმენტის, მშენებლობისა და სამშენებლო კომპანიების მხარდაჭერა და შემდეგ იქნება განათლება“, — განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, აღნიშნული გეგმა მომდევნო კვირის ბოლომდე დასრულდება, დაახლოებით ორ კვირაში კი, სრული პოსტკრიზისული ეკონომიკური გეგმა იქნება წარდგენილი.

„რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით სექტორალურ, პოსტკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას, უკვე სრულს, რომელზეც ვმუშაობთ საერთაშორისო დონორებთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე მსოფლიოში ცნობილი, კონკრეტული ეკონომისტების მხარდაჭერით. ამ გეგმას წარმოვადგენთ დაახლოებით ორ კვირაში“, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ.

რა შეზღუდვები იხსნება

11 მაისიდან იხსნება ჩაკეტილი თბილისი. ორშაბათიდან მოქალაქეებს

შეუზღუდავად შეეძლებათ დედაქალაქში შესვლა და გასვლა;

11 მაისიდანვე, ქვეყნის მასშტაბით გაიხსნება ყველა სახის წარმოება და ყველა სახის საცალო და საბითუმო მაღაზია, რომელსაც აქვს შესასვლელი ქუჩიდან. შეზღუდვები კვლავ არ ეხება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიასა და სავაჭრო მოლებს;

მალევე, 14 მაისიდან მიმოსვლა სრულად გაიხსნება რუსთავსა და გარდაბანში. ეს ქალაქები დაახლოებით ერთი თვის წინ, თბილისთან, ქუთაისთან და ბათუმთან ერთად ჩაკეტეს;

18 მაისს სრულად გახსნიან მარნეულს, სადაც მკაცრი კარანტინი მოქმედებს. ამ ქალაქის შედარებით გვიან გახსნა პრემიერმინისტრმა გახარიამ იმით ახსნა, რომ ჯერ კიდევ საჭიროა, იქ მაცხოვრებლებს ტესტირება ჩაუტარდეს.

ტურიზმის გახსნა

მთავრობის გეგმით, 15 ივნისიდან ადგილობრივი ტურიზმის სერვისები გაიხსნება, ხოლო პირველი ივლისიდან საქართველო უცხოელ ტურისტებს მიიღებს.

„ეს გაკეთდება უსაფრთხო კორიდორების შექმნით ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან და ასევე, ტურისტულად საინტერესო ქვეყნებთან. საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც გახსნის თავის საზღვრებს და ინფრასტრუქტურას უცხოელებისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიამ განმარტა ის შეღავათები, რითაც ტურიზმის სფეროს გახსნისთვის დაეხმარებიან:

2020 წელს ტურიზმის სექტორი სრულად განთავისუფლდება ქონების გადასახადისგან

ტურიზმის სექტორში მომშავე კომპანიების საშემოსავლო გადასახადი გადავადდება წლის ბოლომდე;

5 მილიონის სესხის 80 პროცენტამდე სუბსიდია შეეხება იმ სასტუმროებს, რომელთა ბრუნვა არის 20 მილიონ ლარამდე.

რა გაიხსნა აქამდე

ეკონომიკის ამოქმედების 6-ეტაპიანი გეგმის პირველი ეტაპი თითქმის დასრულდა. ბიზნესსაქმიანობების გახსნის ეტაპებს შორის შუალედი ორი კვირაა, თუმცა პრემიერის განმარტებით, ეტაპების ამოქმედება დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე. დღეის მდგომარეობით, შეზღუდვები შემდეგნაირად შემსუბუქდა:

5 მაისიდან უკვე გახსნილია ბათუმსა და ქუთაისში მიმოსვლა;

27 აპრილიდან დასაშვები გახდა მსუბუქი ავტომობილებით გადაადგილება და ტაქსების ოპერირება;

ამოქმედდა ონლაინ ვაჭრობა;

შესაძლებელი გახდა ნებისმიერ პროდუქტზე მიტანის სერვისით სარგებლობა;

გაიხსნა ღია ტიპის აგრარული ბაზრების ნაწილი.

რა შეზღუდვები რჩება ძალაში

ამოქმედებული შეზღუდვებიდან ისევ ძალაში რჩება ე.წ. კომენდანტის საათი. მოქალაქეს, ვინც გარეთ გავა 21 საათიდან დილის 6 საათამდე, 3-ათასლარიანი ჯარიმა ემუქრება. ჯერჯერობით ისევ დახურულია სილამაზის სალონები და ესთეტიკური ცენტრები. ასევე, დახურულია სავაჭრო მოლები და რესტორნები, მათ შორის, ღია ტიპის. 22 მაისამდე ძალაში რჩება საგანგებო მდგომარეობაც.

ბიუროკრატია, როგორც განაჩენი

„ - დედა, მშია“ - შუაღამისას თეონას ბავშვის ხმა ჩაესმის და აფხიზლებს. ნებისმიერი კოშმარი სჯობდა ამ რეალობას. ასეთი უმწეო არასდროს ყოფილა. არც მაშინ, როცა ავარიაში მოხვდა და მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, არც მაშინ, როცა აფხაზეთიდან ლტოლვილმა ბავშვმა სიკვდილის გზა დედასთან ერთად გამოიარა...

საწოლზე წამომჯდარს ყელში ბურთივით გაჩხერილი ბოლმა ახრჩობს და უხმოდ ტირის.

მეორე დღეა, ფული აღარ აქვს. დაწოლის წინ თხლად დაჭრილ პურის ნაჭერს კარაქი გადაუსვა და ნატას აჭამა. ეს იმ პროდუქტის ნარჩენია, საბავშვო ბაღიდან რომ გამოატანეს. მისი მარაგიც ეწურება. მამუკაც, ბავშვის მამა, ორი თვე ხდება, მარნეულშია ჩარჩენილი. კორონავირუსმა და კარანტინმა იქ მოუსწრო. ოჯახს თანხასაც ვერ უგზავნის. თეონა სახლშია გამოკეტილი 5 წლის ნატასთან ერთად. უხილავი მტრის შიშთან მარტოდ დარჩენილებს ახლა შიმშილიც ემუქრებათ.

რამდენიმე დღის წინ მეგობარმა, რომელმაც ნათიას მდგომარეობა გაიგო, სოციალურ ქსელში მის ამბავთან ერთად ანგარიშის ნომერიც გამოაქვეყნა. თანხა ჩაურიცხეს. რამდენიმე დღე თავი გაიტანეს კეთილი ადამიანების წყალობით. ახლა ამას ვეღარ გაბედავს. ვეღარავის შეაწუხებს. იყო დრო, თვითონ ეხმარებოდა სხვა გაჭირვებულებს. შრომა არასოდეს ეზარებოდა. სანამ კოვიდ-19 გავრცელდებოდა, ძიძად მუშაობდა ოჯახში. ვირუსმა მას სამსახური დააკარგვინა.

ხელისუფლების მიერ ინიცირებულმა პროგრამამ კომუნალური გადასახადების სამი თვის განმავლობაში დაფარვის თაობაზე, დიდი სამსახური გაუწია. ამ დახმარებამ ის და მისი შვილი სიცივისგან იხსნა.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის გამოცხადების შემდეგ იმედი მიეცა, რომ ერთჯერად კომპენსაციას ისიც აიღებდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფიზიკური პირის მიერ გაცემული ცნობა დოკუმენტად არ გამოდგება.

ნათიას მსგავსად ამ სიტუაციაში ბევრი ადამიანი აღმოჩნდა. ძიძებს, დამლაგებლებს და სხვა თვითდასაქმებულებს არ გაუმართლათ. ისინი ვირუსთან ერთად სახელმწიფო ბიუროკრატიის მსხვერპლნიც აღმოჩნდნენ.

„მაგალითად, გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ გაცემული პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შემოსავლის მიღების ფაქტი, საბანკო ამონაწერი, მუნიციპალიტეტის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირზე გაცემული რაიმე საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა, ნებართვა/ლიცენზია. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პირის ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავალი“- ეს იმ პირთა ჩამონათვალია, ვისაც პროგრამით სარგებლობა შეუძლია და ამავე დროს, განაჩენიც იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ სიაში ვერ მოხვდება.

თვითდასაქმებულებისთვის კომპენსაციის მოცულობა განსაზღვრულია ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

„კომპენსაციის მიღების მიზნით, ფიზიკურმა პირმა, არაუგვიანეს 2020 წლის პირველი ივლისისა, ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ პორტალზე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მოთხოვნა“-ეს ის რეკომენდაციებია, რომელსაც უწყების ხელმძღვანელები მშრალად გასცემენ.

ტაქსის მძღოლები, რომელთაც ლიცენზია აქვთ, პრობლემების გარეშე ისარგებლებენ სახელმწიფოს დახმარებით, მაგრამ რა ქნან ქალებმა, რომლებიც შვილებს ზრდიან, დღიურად შემოთავაზებულ სამუშაოს ასრულებენ და სოციალურად დაუცველთა ბაზაშიც არ არიან დარეგისტრირებულნი? პანდემიის გამო ისინი შემოსავლის გარეშე დარჩნენ. ასეთი ოჯახების რაოდენობა საქართველოში საკმაოდ დიდია. სახელმწიფოს ვალი კი ყველაზე ზრუნვაა.

რამდენიმე დღის წინ ტრანსგენდერმა ქალმა თბილისის მერიის წინ თავის დაწვა სცადა. ის კომენდანტის საათსა და საგანგებო მდგომარეობას აპროტესტებდა, უმუშევრად და ულუკმაპუროდ დარჩენის გამო. არა მგონია, საზოგადოების ეს სეგმენტი ოფიციალურად დასაქმებულთა სიაში მოხვდეს. საქართველოს კონსტიტუციაში კი სწერია: „ყველა ადამიანი თანასწორია...“

2019 წლის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 849 ათასი ადამიანი დაქირავებით დასაქმებული იყო, მათ შორის 300 ათასი სახელმწიფო სექტორში, თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი 840 ათასს შეადგენდა.

პრემიერის ცნობით, პანდემიის შედეგად დაკარგული სამუშაო ადგილების რიცხვი 350 000-ს მიაღწევს.

სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი არამარტო პანდემიის შემდგომი პერიოდის დახმარების სიებს, არამედ ამ სტატისტიკის მიღმაც აღმოჩნდა.

ინგა შიოლაშვილი

„ონლაინ ბრძოლა“ და წაშლილი ფეისბუქ ანგარიშები

ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის თვეში მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ემზადება და ეს მზადება არახალია. სულ მალე, ჩვენ მეათე მოწვევის პარლამენტს ავირჩევთ და კიდევ ერთხელ დავაკომპლექტებთ საკანონმდებლო ორგანოს. ეს კი, გვინდა არ გვინდა, ჩვენი ცხოვრების წესსაც და რიტმსაც ავტომატურად განსაზღვრავს.

აპრილის თვეში „ფეისბუქმა“ კოორდინირებული კამპანიების 6 ქსელი გამოავლინა : რუსეთთან, ამერიკასთან, ირანთან, მიანმართან და მავრიტანიასთან ერთად სიაში მოხვდა საქართველოც. ახალი ფეისბუქსკანდალი კი ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში არჩევნებამდე სულ რაღაც 6 თვით ადრე ჩვენი ინფორმაციული ბადის არანაკლებ დიდ ადგილს იკავებს. ამჯერად ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის გავრცელების კვალი „ნაციონალურ მოძრაობასთანაც“ მივიდა. კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ წაშლილია ქართული გამოცემა „ეს პერსონასთან“ (ის კოკა ყანდიაშვილს, მმართველ პარტიასთან დაახლოებულ პირს ეკუთვნის) დაკავშირებული 511 გვერდი, 101 პერსონალური ანგარიში, 122 ჯგუფი და 56 ინსტაგრამ ანგარიში. 5 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში „ფეისბუქი“ ასევე აღნიშნავს, რომ ასევე წაშლილია 23 ფეისბუქ ანგარიში, 80 გვერდი, 41 ჯგუფი და 9 ინსტაგრამ ანგარიში, რომელიც ოპოზიციურ პარტიასთან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ იყო დაკავშირებული. კომპანიის ინფორმაციით, მათ მიერ განთავსებული კონტენტი ადგილობრივ სიახლეებსა და ისეთ პოლიტიკურ თემებს ეხებოდა, როგორებიცაა 2018 წლის არჩევნები, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მმართველი პარტიისა და მთავრობის კრიტიკა პანდემიასთან დაკავშირებით. აღნიშნული ანგარიშებიდან ფაცებოოკ რეკლამებში $23 ათას დოლარზე მეტია დახარჯული. გარდა ამისა,ფეისბუქის ინფორმაციით, ყალბი ქსელის უკან მდგარი პირები ფიქციური პერსონების შესაქმნელად, ოპოზიციის ლიდერებისა და ადგილობრივი ჯანდაცვის სპეციალისტების განსახიერებისთვის, ასევე დეზინფორმაციის გასავრცელებლად ყალბ ანგარიშებს იყენებდნენ. გვერდებზე ქვეყნდებოდა ოპოზიციის, ჟურნალისტებისა და ადგილობრივი აქტივისტების მიმართ კრიტიკული შინაარსის კონტენტი. ეს გვერდები ინფორმაციით მანიპულირებაზე 30,000 დოლარს ხარჯავდნენ.

სატელევიზიო სიუჟეტებში კომპანია „ეს პერსონას“ „ქართულ ოცნებასთან“ ოფიციალურ კავშირს უარყოფს სახელისუფლებო პარტია. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ ამ კომპანიის მფლობელ კოკა ყანდიაშვილს უკვე 6 წელია, მათთან ოფიციალური შეხება აღარ აქვს: **„მას აქვს და ჰქონდა „ეს-პერსონა“ -ასეთი სააგენტო და ოპერირებდა მედია სივრცეში და მათ შორის, Facebook სივრცეში, მაგრამ „ქართულ ოცნებასთან“ მას ოფიციალური კავშირი, ან რაიმე ხელშეკრულება არ აქვს ან რაიმე დავალება მის მიმართ “ქართული ოცნებიდან” არ ფიქსირდება და ვერ დაფიქსირდება, ასეთი მტკიცებულება ვერ იქნება ბუნებაში და ბუნებრივია, ის ვერც Facebook-მა მიუთითა იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი კავშირი არ არსებობს“**. დედაქალაქის მერი კახა კალაძე კი აცხადებს, რომ ტროლებისა და ბოტებისთვის არავის სცალია, რადგან მთავრობა გადართულია კორონავირუსთან ბრძოლის კამპანიაზე. **„ბევრი განცხადება კეთდება ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ჩვენ ნამდვილად არ გვჭირდება ტროლები და ბოტები. მთელი სახელმწიფო იმაზეა გადასული, როგორ მოაგვაროს კორონავირუსის პრობლემა. უბრალოდ, ისმის კითხვა, ვის აწყობს ეს ყველაფერი,”**- განაცხადა კახა კალაძემ. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ზაალ უდუმაშვილი ყალბ გვერდებთან პარტიის კავშირს უარყოფს და აცხადებს, რომ თუ ამას ვინმე ინდივიდუალურად აკეთებდა, ამაში პოლიტიკური ძალა ჩარეული არ იყო: **„ „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი კავშირი არ აქვს ამ გვერდებთან, თუ ვინმე ინდივიდუალურად ცდილობდა საკუთარი პოზიციის გამოხატვას, ეს მათი საქმეა. თუმცა, მე მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი გვერდი, რომელიც ავრცელებს სიყალბეს, რა თქმა უნდა, არაა მისაღები, ეს უნდა დაიბლოკოს. მთავარი არის ის, რომ დღეს ამ დაბლოკილი გვერდების დიდი ნაწილი ეკუთვნის „ქართულ ოცნებას“** - განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

მმართველი გუნდისგანაც და „ნაციონალური მოძრაობისგანაც“ უფრო მკაფიო განმარტებებს ითხოვს „ევროპული საქართველო“. სერგი კაპანაძის თქმით, საარჩევნო წელს მსგავს ფაქტებზე რეაგირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: **„უკვე მეორედ გამოაშკარავა „ფეისბუკმა“, როგორც ჩანს, პირველი გამოაშკარავება არ იყო საკმარისი გაკვეთილი ხელისუფლებისათვის და მან ახლიდან დათესა ეს ტროლები და ბოტები და მეორედ მიიღო საკადრისი პასუხი „ფეისბუკის“ მხრიდან. ცალკე გამოსარკვევია, რამდენადაა კანონდარღვევა იმ კონტექსტში, თუ რა ფულიც იხარჯებოდა აქ. ცალკე აღსანიშნავია, რომ ამაში ასევე იქნა მხილებული „ნაციონალური მოძრაობა“ და მე მგონია, რომ ამ ოპოზიციურმა პარტიამ პასუხი უნდა გასცეს იმ კითხვებს, რომელიც გაჩნდა „ფეისბუკის“ მიერ მათი სხვადასხვა ანგარიშის წაშლის შედეგად,”** - განაცხადა სერგი კაპანაძემ. არასამთავრობო ორგანიზაციები კი აღნიშნავენ, რომ მთავარი აქ ფეისბუქ გვერდების რაოდენობა კი არა, ის ფაქტია, რომ ორივე ძალა საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის და გავლენის მოსაპოვებლად აკრძალულ მეთოდებს იყენებს.

შეგახსენებთ, რომ „ფეისბუქმა“ მხოლოდ გასულ წელს მსოფლიოს მასშტაბით გამოავლინა 50 კოორდინირებული და მავნე ქსელი, რომლებიც ტყუილსა და დეზინფორმაციას საზოგადოების აზრის მანიპულირებისთვის ავრცელებდა, რისი მიზანიც დემოკრატიასა და ფუნდამენტურ ღირებულებებზე თავდასხმა იყო. წელს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამაში ოპოზიცია და კონკრეტულად, “ნაციონალურ მოძრაობაც” ამხილეს. „ონლაინ ბრძოლა“ კი სულ მალე პარტიებს შორის საარჩევნო მარათონში გადაიზრდება და ქვეყანა საარჩევნო ციებ-ცხელებაში კიდევ ერთხელ გაეხვევა.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

კორონავირუსული პანდემიის კონსპირაციული თეორიები

ბრიტანელებმა დაწვეს 5G ფიჭური კავშირის ათობით ანძა, იმის შიშით, რომ მობილური კავშირის ეს სიხშირე კორონავირუსის გამავრცელებელი იყო.

მსოფლიოში კორონავირუსით დასნებოვნებულია 3 მილიონზე მეტი ადამიანი და როგორც ჩანს, დაახლოებით ამდენივეს სჯერა რომ ახალი დაავადება მსოფლიო შეთქმულების შედეგია. ერთნი დარწმუნებულები არიან, რომ კორონავირუსის გავრცელება შემთხვევით არ დაწყებულა უჰანში. სწორედ იქ, 2019 წლის შემოდგომაზე დატესტეს 5ჩ-ქსელი. თუმცა იგივე ადამიანები ვერ ხსნიან რატომაა ავადობა მაღალი ირანში, სადაც მსგავსი ანძები საერთოდ არ არის. მეორე კატეგორიის ადამიანები ადანაშაულებენ მასონებს, მსოფლიო მთავრობას, რომელიც თვითიზოლაციის პირობებში მოქალაქეებში ჩიპებს ნერგავენ.

ბილ გეითს კი საერთოდ ყველაფერში ადანაშაულებენ. მთელი მსოფლიოდან წერენ მილიარდერს Instagram-ში, რომ გამოიცნეს მისი მზაკვრული ჩანაფიქრი. კერძოდ, ის როკფელერთან ერთად აპირებს ნახევარი კაცობრიობის ვაქცინაციას და მოკვლას, ხოლო გადარჩენილების გაკონტროლებას შეძლებს ჩაყენებული მიკროჩიპების მეშვეობით.

ჩინელების მიმართ ქსენოფობიური განწყობა ეპიდემიასავით გავრცელდა. ჩინელებს სხვადასხვა ქვეყანაში ასახლებდნენ სასტუმროებიდან. რომში

ტრევის შადრევანის ახლოს კაფეში განათავსეს განცხადება” ყველა ვინც ჩინეთიდანაა ჩამოსული, ეკრძალება ამ ადგილზე მოსვლა”, დანიურმა გაზეთმა Jyllands-Posten გამოაქვეყნა კარიკატურა, რომელზედაც ჩინეთის დროშაზე ვარსკვლავები შეცვლილი იყო ვირუსებით. ბევრი თავიდანვე იყო დარწმუნებული, რომ ვირუსი ჩინელებმა შექმნეს. სწორედ უჰანშია ვირუსოლოგიის ერთერთი მსხვილი ინსტიტუტი.

არც ებრაელები დავიწყებიათ. ანტისემიტური განცხადებები კორნავირუსთან დაკავშირებით გაჟღერდა თურქეთის ტელეარხზე, სადაც გადაცემის ერთ-ერთმა სტუმარმა განაცხადა, რომ “ებრაელმა სიონისტებმა შექმნეს ახალი კორონავირუსი, როგორც ბიოლოგიური იარაღი მსოფლიოს ხელში ჩასაგდებად”.

შეთქმულების თეორია პოპულარულია იქ, სადაც არ არის ინდივიდებს შორის და ხელისუფლების ორგანოებისადმი ნდობა. რაც უფრო ნაკლებად ენდობიან ადამიანები მეგობრებს, მეზობლებს და ხელისუფლებას, მით მეტად არიან ისინი კონსპიროლოგიისადმი მიდრეკილნი.

ტურიზმი, უკეთესი ამინდის მოლოდინში...

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ კოვიდ19-ის ინფექციის ზეგავლენის გამო,მსოფლიოს მასშტაბით, დაახლოებით 50მილიონ სამუშაო ადგილის შემცირება დაანონსა.

სავარაუდოდ, აქედან აზია ყველაზე მეტად დაზარალდება.

ინდუსტრიის „გამოჯანმრთელებას“ დაახლოებით 10 თვე დასჭირდება.

ტურისტული ინდუსტრია ამჟამად გლობალური მშპ-ს 10% -ს შეადგენს.

ეს მონაცემები ცვალებადია, რადგან იმაზეა დამოკიდებული, თუ ეპიდემია სადამდე გაგრძელდება. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რა მნიშვნელოვანია ტურიზმი მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით, იმ ცალკეული ქვეყნებისთვის, რომელთა ეკონომიკის ძირითად ან მნიშნელოვან ნაწილს ტურიზმი იკავებს. 2019 წელი საქართველოს ტურისტული სექტორისთვის უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი კარგი წელი იყო. გასულ წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რეკორდული რიცხვი დაფიქსირდა: 9,357,964. 2019 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან 3,1 მლრდ დოლარზე მეტის შემოსავალი მიიღო. ლიდერი ქვეყნები საიდანაც ყველაზე მეტი ტურისტი შემოვიდა არიან: აზერბაიჯანი; რუსეთი; სომხეთი; თურქეთი და უკრაინა. საჰაერო ვიზიტების შემცირების (-11,0%) მიუხედავად, რაც ძირითადად რუსეთის ,,ტურისტული ემბარგოს'' შედეგი იყო, ზრდა გვქონდა სახმელეთო (+19,2%), სარკინიგზო (+20,6%) და საზღვაო (+16,5%) ვიზიტების მიხედვითაც. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2020 წლის თებერვალში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა +4 %-ით გაიზარდა, საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები კი 0.7%-ით შემცირდა. თებერვალში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 257,547 შეადგინა, რაც 9,842-ით მეტია 2019 წლის თებერვლის მაჩვენებელზე (ზრდა +4%). 2020 წლის მეორე თვეში 466,409 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, კლება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით -0.7%-ია. საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტების რაოდენობამ 386,859 შეადგინა, კლება -0.6%-ია. ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებზე გატარებული მარკეტინგული სტრატეგიის შედეგად თებერვლის თვის ტურისტული ვიზიტების მაჩვენებელი +4 %-ით გაიზარდა. ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი: აზერბაიჯანი (+12.8%), თურქეთი (+3.8%), სომხეთი (-18.2%) რუსეთი (-25%). თებერვალში ჩინეთიდან 951 ვიზიტი შედგა, კლება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით -59.5 %. იანვარი-თებერვლის პერიოდში ჩინეთიდან საქართველოში 4002 ვიზიტი შედგა, კლება -2.2%-ს შეადგენს. 2020 წლის ორ თვეში საქართველოში 1,099,610 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +10.2%-ია. საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტების რაოდენობამ 910,548 შეადგინა, ზრდა +10.2%-ია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 621,161 შეადგინა, რაც 67,517-ით მეტია 2019 წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელზე (ზრდა +12.2%). წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 193 მილიონ დოლარს (ზრდა +17.6%), რაც 29 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ახალ კორონავირუსის შედეგად გამოწვეულ ზეგავლენას, ვირუსმა გავლენა უკვე იქონია ეკონომიკასა და ტურიზმის დარგზე მთელ მსოფლიოში. ახალი კორონა ვირუსის შედეგად განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა თებერვლის ბოლოდან, რაც ნეგატიურად აისახება საერთაშორისო ტურისტულ და საავიაციო ბაზრებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მონაცემებით, კორონავირუსის სწრაფი გავრცელების გამო საერთაშორისო ავიაციის დანაკლისმა ორ თვეში უკვე შეადგინა 4,9 %. წლიურმა დანაკლისმა კი შესაძლოა 13 %-ს მიაღწიოს, რაც ჯამში საავიაციო სექტორისთვის 28 მილიარდამდე დოლარის შემოსავლის შემცირებას გულისხმობს. კორონავირუსის გამო დაიკეტა ყველა სარესტორნო დაწესებულება, სასტუმროები, კაფე-ბარები და ძირითადი თავშეყრის ადგილები. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლაზე. ტურისტული სექტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ თებერვალში გაუქმდა მარტში, აპრილსა და მაისში დაჯავშნილი ადგილები, რამაც კომპანები ფინანსური კრიზისის წინაშე დააყენა. მთავარი პრობლემა რაც ჯავშნების გაუქმებას ეხება, ეს მომხმარებლისთვის თანხის ანაზღაურებაა. კომპანიებს ასევე უწევთ მათ მიერ ტურისტებისთვის წინასწარ დაჯავშნილი სასტუმროსთვის პირგასამტეხლოს გადახდა. ასევე რთული მდგომარეობის წინაშე დადგნენ ის ადამიანები, რომლებიც გაქირავების პლატფორმებზე საკუთარ ბინებს უცხოეთიდან შემოსულ ტურისტებზე აქირავებდნენ. მაისის ჩათვლით ამ სექტორშიც ყველა ჯავშანი გაუქმებულია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რთულია საერთაშორისო ტურიზმზე კორონავირუსის გავლენის შეფასება, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, წინაზე ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად. ქვეყნების მიხედვით,ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავალი ნავარაუდევია, რომ ყველაზე მეტად შემცირდება ჩინეთში. UNWTO-ს თანახმად, ამ ეტაპისთვის COVID-19-ისგან ყველაზე მეტად დაზარალდა აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები შემცირდა 9-12% - ით, იანვარში ნავარაუდევი 5-6%-იანი ზრდის ნაცვლად. ევროპა იქნება დანაკარგის სიდიდით რიგით მეორე რეგიონი, რომელიც აღნიშნულ ინდუსტრიაში დაკარგავს 10.1 მილიონ სამუშაო ადგილს.

სახელმწიფოების ნაწილი პრევენციულ ზომებს უკვე იღებს და საზღვრების ხსნის. ივნისიდან რეისებს განაახლებს „თურქეთის ავიახაზებიც“. ქვეყნების სიაში საქართველოც მოხვდა. შიდა და საერთაშორისო რეისების განხორციელება ეტაპობრივად, სამთვიანი გეგმის ფარგლებში განახლდება. „საქართველო უნდა იყოს ერთ-ერთი პირველი და რეგიონში პირველი ქვეყანა, რომელიც ტურიზმს აამუშავებს უახლოეს პერიოდში, რა თქმა უნდა, ყველა სტანდარტების და უსაფრთხოების დაცვით“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმის წარდგენისას განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამ მიმართულებით რეკომენდაციები ტურიზმის საერთაშორისო მსოფლიო ორგანიზაციის მხრიდან უახლოეს დღეებში გვექნება. „აქტიურად განვიხილავთ ტურიზმის ანტიკრიზისული მხარდაჭერის და ტურიზმის როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგის გახსნის გეგმის განხილვას. ეს არის ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები. ყველას კარგად გვესმის, რომ 3-4 თვეა ვიბრძვით ორ ფრონტზე ერთდროულად. პირველი გახლავთ მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე, ხოლო მეორე ჩვენი ეკონომიკის გადარჩენა, ეკონომიკის წინსვლა და ეკონომიკის ეფექტური გახსნა. თითოეულ ჩვენგანს მოეხსენება, რომ უკვე დაწყებულია გლობალური კონკურენცია ქვეყნებს შორის, როგორც ტურისტების მოზიდვის, ასევე შემდგომ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით“ - განაცხადა გახარიამ. პრემიერის თქმით, ტურიზმის არის ის სფერო, რომელიც, გარდა იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, ამასთან ერთად, არის ის კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც შეუძლია პანდემიის შემდგომ, პოსტკრიზისულ ეკონომიკაში, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას შეუწყოს ხელი. ამასთან, საქართველოს მთავრობა კოვიდ-19-ისგან უსაფრთხო ტურისტულ ზონებად წყალტუბოს, გუდაურის, საირმის, აბასთუმნის, ბორჯომის და სხვა კურორტების გამოყოფას განიხილავს, რომლებიც ისტორიულად პოზიციონირდებოდნენ, როგორც სასუნთქი ორგანოების რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ზონები. **„ჩვენ ამაზეც ვფიქრობთ, რადგან ტურიზმის აღდგენისთვის აუცილებელია რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვანი კონტროლის წერტილი - პირველ რიგში ეს არის საზღვარი, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და ჯანდაცვის სამინისიტროს უკვე მიღებული აქვს დავალება, საზღვრებზე გაძლიერდეს თითოეული შემომსვლელის კონტროლი და თუ აქამდე გვჭირდებოდა 14-დღიანი ან 24-საათიანი კარანტინი, ეს პროცედურა 1 საათში უნდა დასრულდეს. ამისთვის საჭირო შესაძლებლობები და ტექნოლოგიები არსებობს და ჯანდაცვის სამინისტრო ამ საკითხს უახლოეს პერიოდში გადაწყვეტს. შემდგომი საკითხია სასტუმროების მართვა და ყველა იმ სტანდარტის გათვალისწინება, რომელიც დაკავშირებულია კოვიდ-19-ის პრევენციასთან და ზუსტად ასევე ტრანსპორტი. ეს ის ძირითადი წერტილებია, სადაც ტურიზმის აღდგენის პირობებში ჩვენ უნდა ვმართოთ რისკები“,** - აღნიშნა პრემიერმა. პრემიერმა ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომელიც სახელისუფლებო გუნდის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა და მიზნად ისახავს პოსტკრიზისული ეკონომიკური აღორძინების ეტაპზე ტურისტული სექტორის მხარდაჭერას. **„ტურიზმის სექტორი სრულად გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან 2020 წლისთვის. ეს დარგისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. გარდა ამისა, ტურიზმის სექტორში მომუშავე კომპანიების საშემოსავლო გადასახადები გადავადდება წლის ბოლომდე. ვერავის დავპირდებით საშემოსავლოს სრულად ჩამოწერას, თუმცა გადავადების და შემდგომი ეტაპობრივი გადახდის სქემებზე საუბარი შესაძლებელია. კრიზისის მართვის პირობებში 50 ნომრამდე სასტუმროებს სესხის პროცენტის სუბსიდირებას დავპირდით, გავაკეთეთ და რამდენიმე ათასმა ბიზნესოპერატორმა და კომპანიამ ისარგებლა ამ შეღავათით. დღეს ვაწესებთ ახალ ნორმას - ყველა სასტუმროს, რომლის წლიური ბრუნვაც 20 მილიონ ლარამდე იყო, დავუსუბსიდირებთ საბანკო სესხის პროცენტის 80%-ს სესხის პირველ 5 მილიონ ლარზე, რაც იქნება ასევე სერიოზული მხარდაჭერა დარგის განვითარებისთვის“,** - აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ, ტურიზმის ინდუსტრიის გახსნის სამ ეტაპი დაასახელა. მისი განცხადებით, პირველ ეტაპზე ინდუსტრიის მომზადება მოხდება, მეორე ეტაპზე 15 ივნისიდან, ადგილობრივი ტურიზმი აღდგება. მესამე ეტაპზე, 1 ივლისიდან კი, საერთაშორისო ტურისტების მიღება მოხდება: **„ჩვენ გაგვაჩნია კონკრეტული გეგმა, რომლითაც მოვემზადებით გახსნისთვის. პირველ ეტაპზე ესაა რასაკვირველია ტურისტული ინდუსტრიის დახმარება, რომ დავნერგოთ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული უსაფრთხო სტანდარტები. იგივე სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე და აეროპორტებში, განთავსების და კვების ობიექტებში, გიდებთან. როგორც კი დამტკიცდება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ახალი გაიდლაინები მათ დავნერგავთ. მანამდე ჩვენ ლოკალური გაიდლაინებით ვამზადებთ ამ ინდუსტრიას. ასევე ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ სხვადახვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან, რომელთაც უკვე დაიწყეს ერთმანეთში საზღვრების გახსნის პროცესი და ჩვენ ამის თანამონაწილე უნდა გავხდეთ. ასევე ვმუშაობთ ქვეყნებს შორის უსაფრთხო დერეფნების შექმნაზე, ეს იქნება პირველი დერეფნები, რომლის შიგნითაც ტურისტები საქართველოსკენ და საქართველოდან იმოძრავებენ. გვაქვს მოლაპარაკებები ავიაკომპანიებთან იმ მიმართულებებზე, სადაც უახლოეს პერიოდში აღდგება ოპერირება. რა თქმა უნდა, ჩვენი მთელი მარკეტინგული სტრატეგია გადაეწყობა ახალი იმიჯის გასამყარებლად- საქართველო როგორც უსაფრთხო დანიშნულების ადგილი. მეორე ეტაპი, ესაა 15 ივნისს ჩვენი ბაზრის შიდა ტურიზმისთვის გახსნა. ამ დროისთვის უკვე გვექნება დამუშავებული უსაფრთხო ტურისტული ზონების კონცეფცია და საპილოტე ზონები. 15 ივნისიდან ადგილობრივი მოსახლეობა უკვე შეძლებს ესტუმროს სასტუმროებს. მესამე ეტაპია - პირველი ივლისი, როდესაც მზად ვიქნებით, რომ მივიღოთ საერთაშორისო ტურისტები, სახმელეთო და საჰაერო საზღვრების გახსნა დაემთხვევა ამ მომენტს. ეს ყველაფერი მოხდება პირველ რიგში ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის პრიორიტეტის დაცვით. ამ ეტაპისთვის ფრენების ეტაპობრივი აღდგენა მოხდება“,-** განაცხადა თურნავამ.

საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებები განახორციელა ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიების ფარგლებში, როგორიცაა კონტროლი სხვადასხვა სასაზღვრო გამშვებ-პუნქტებში, აეროპორტებში, საბაჟო-ტერმინალებსა და ა.შ. მკაცრად მოწმდება ქვეყანაში შემოსული როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის თითოეული მოქალაქე. მიმდინარეობს მასობრივი სადეზინფექციო სამუშაოები, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სასწავლო დაწესებულებებსა და თავშეყრის ადგილებში. ასეთი ზომები ხელს შეუწყობს საქართველოს იმიჯს ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პირობებში,რადგან საქართველო დაბალი რისკის მქონე ქვეყნებს შორისაა. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ტურისტული მიმართულებაა, ეს იმიჯი ვირუსის ჩაცხრომასთან ერთად დაეხმარება კერძო სექტორს და ხელს შეუწყობს პოტენციურ ტურისტებს, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობისას არჩევანი საქართველოზე გააკეთონ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

მოზარდები და იზოლაცია

სკოლების უმეტესობა დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაერთო საჯარო და კერძო სექტორიც. შედეგად, მშობლებისა და ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება შეიცვალა. მოზარდები ახლა უფროსების მსგავსად, იზოლაციაში არიან და შინ, ერთფეროვან გარემოში ყოფნა განსაკუთრებით უჭირთ.

სოციალური იზოლაცია, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებსაც შეეხოთ, რამდენიმე მიმართულებით არის საყურადღებო, განსაკუთრებით 12- დან 18 წლამდე ასაკის პირებისათვის. ის ნეიროფიზიოლოგიური ცვლილებები, რაც ამ ასაკში ხდება, ვერ ერგება შექმნილ რეალობას. მეტიც, მისი საპირისპიროა. ჰორმონალური ცვლილებების გამო დარღვეულია მოზარდის აგზნება-შეკავების ბალანსი. ის მეტწილად აღგზნებულია, ვერ აკონტროლებს მოჭარბებულ ემოციებს, ვერ აბალანსებს მოზღვავებულ ენერგიას. მოზარდები ნაკლებად ფიქრობენ, სანამ ნაბიჯს გადადგამენ. ცნობილია, რომ ამ ასაკში იზრდება დოფამინის ოდენობა (ჰორმონები, რომელიც სიამოვნების შეგრძნებასთან არის დაკავშირებული), როგორც ლიმბურ სისტემაში (ეს სისტემა ადამიანის ემოციურ რეაქციებზე აგებს პასუხს), ასევე პრეფრონტალურ ქერქშიც და მათი გაზრდილი ოდენობა, აქტივობა, აძლიერებს სარისკო ქცევას. ამავე მიზეზს უკავშირდება ისიც, რომ მოზარდებს იოლად სწყინდებათ, ბეზრდებათ და მუდმივი ლტოლვა აქვთ სიახლეებისკენ, სიამოვნების მიღებისკენ. მოზარდებს მოჭარბებული ემოციურობა, იმპულსურობა ახასიათებთ, რაც სეროტონინის აქტივაციას უკავშირდება, სწორედ ის იღებს მონაწილეობას გუნება-განწყობისა და ქცევის რეგულაციაში.

მოზარდების ემოციურ ლაბილობას ხშირად იმ ატრაქციონის სახე აქვს, რომელსაც „ამერიკულ მთებს“ უწოდებენ. ასე დეტალურად რატომ განვიხილავთ ამ ყველაფერს? მინდა უფროსებმა კარგად გავიაზროთ, რომ ის სირთულეები, რასაც ვაწყდებით მათთან, ნორმალური ასაკობრივი მოვლენებია და არა მათი ახირება. და თუ ახლა, იზოლაციის პირობებში კიდევ უფრო გვიჭირს მოზარდებთან ურთიერთობა, ასევე ბუნებრივად და გასაგებად უნდა აღვიქვათ. საერთო ჯამში, ფიზიკური და სოციალური იზოლაცია სწორედ მოზარდებისათვის არის დიდი გამოწვევა - სამყაროსადმი, თანატოლებისადმი, მათთან სოციალური ინტეგრაციისადმი ბუნებრივი ინტერესი ითრგუნება. ამიტომ, იზოლაციამ ბევრი დისკომფორტი შეიძლება გამოიწვიოს, როგორც ემოციურ, ასევე ფიზიკურ დონეზე, მოიმატოს შფოთვამ, აგრესიულობამ, შესაძლოა სახეზე იყოს ფსიქომოტორული მოუსვენრობა (როცა ადგილს ვერ პოულობს მოზარდი) და საბოლოო ჯამში, იზრდება კონფლიქტების რისკიც.

მშობლები ახლა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან. მათ უამრავი საზრუნავი აქვთ და შესაბამისად, სტრესის დონეც მაღალია. შეიძლება, ახლა კიდევ უფრო გაუჭირდეთ მოზარდ შვილებთან საერთო ენის პოვნა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ფიზიკური და სოციალური იზოლაცია მოზარდისთვის სერიოზული სტრესული მოვლენაა. შესაბამისად, იზრდება კონფლიქტებისა და ძალადობის რისკები, ამიტომ განვიხილოთ მშობლებისათვის დასჯის ნეგატიური მხარეები:

დასჯამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ქცევის დროებით მოგვარება, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში ქცევა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს;

დასჯის ხშირი გამოყენება უბიძგებს მოზარდს გაქცევისაკენ, დამალვისაკენ; მოზარდებმა, რომლებმაც იციან, რომ არასასურველი ქცევისთვის დაისჯებიან, ცდილობენ ეს ისე გააკეთონ, რომ სხვამ არ გაიგოს, დამალონ ან მოიტყუონ;

დასჯამ შესაძლოა გამოიწვიოს ბრაზი, რომელიც უბიძგებს მოზარდს გააკეთოს უარესი; ასევე, გამოიწვიოს ძლიერი შიშის, შფოთვის რეაქციები და სირცხვილის განცდა; ასეთ შემთხვევაში მოზარდები სწავლობენ ქცევის შიშითა და სირცხვილის განცდით რეგულირებას და ვერ იაზრებენ არასასურველი ქცევის შედეგებს;

აგრესიული, დასჯაზე ორიენტირებული ქცევის ხშირი გამოყენების შემთხვევაში მოზარდი სწავლობს აგრესიულ ქცევას და ამიტომ აღარ გაგიკვირდეთ, თუ ის თქვენს ან სხვა ადამიანების მიმართ კომუნიკაციის იგივე ხერხს იყენებს.

მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ არსებობს უამრავი კომუნიკაციური ბარიერი, რაც მოზარდს უფრო გვაშორებს და ურთიერთობას გვირთულებს, მაგალითად, მათზე ცუდად აისახება: ჭკუის დარიგება, მორალის კითხვა, დადანაშაულება, დამუქრება, მომთხოვნი, დირექტიული კომუნიკაცია... ასეთი ურთიერთობა ბავშვს აძლევს მესიჯს, რომ ის ცუდია, უვარგისია, პატივისცემას არ იმსახურებს, არ ენდობიან და ა. შ. რაც აგრესიას ზრდის, ამას გარდა, ასეთი დამოკიდებულება ძალადობრივია, რადგან ნებისმიერი ქმედება, რომელიც მეორე ადამიანს ღირსებას ულახავს და მორალურად აზიანებს, ძალადობაა.

მნიშვნელოვანია მშობელმა იფიქროს საკუთარ ემოციურ ბალანსზეც. გასაგებია, რომ მოზარდის გარკვეული ქცევა გვაბრაზებს, გვასვედიანებს, გვაფორიაქებს, მაგრამ ჩვენი ემოციური პასუხები მათ ქცევაზე კომუნიკაციას უფრო ძაბავს. პრობლემა არაა იმაში, რომ ვბრაზდებით. მთავარია, რომ მისი მართვა შევძლოთ. თუ გაბრაზდით, თქვენ შეგიძლიათ უთხრათ შვილს, რომ გაბრაზებული ხართ, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ მას ღირსება არ შეულახოთ და არ გამოიყენოთ ის „მეთოდები“, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ -ამ დროს შეგიძლიათ თამამად თქვათ, რას განიცდით, ოღონდ აღწერეთ გარემოებები, რის გამო ხართ ასე, სხვაა, როცა ბავშვს ეუბნები - „როგორ ბედავ ჩემს მოტყუებას, ეს აღარ გამეორდეს!“ და სხვა ტიპის კომუნიკაციაა, როცა ეუბნები -„ მე ვბრაზდები და მწყინს, როცა ვხვდები, რომ ტყუილს ამბობ, მნიშვნელოვანია, რომ სიმართლე ვიცოდე“.

მოზარდთან კომუნიკაცია ერთგვარი ხელოვნებაა. მათთან ხშირად პარიტეტული ურთიერთობა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე დომინანტური და მკაცრი. მათ აუცილებლად სჭირდებათ გარკვეული წესები და შეზღუდვები, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ თანამშრომლობითაა შესაძლებელი. უარყოფითი ემოციებისგან დასაცავად აუცილებელია მშობლების მხრიდან ადეკვატური რეაგირება მიმდინარე მოვლენებზე, სწორი ინფორმაციის მიწოდება მოზარდებისთვის, ბავშვების ასაკის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის შიდა აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება. მნიშვნელოვანია, უფროსებმა შეძლონ საკუთარი ემოციების გამოხატვა ისე, რომ არ იყოს ტრავმის მიმყენებელი ბავშვებისთვის და ირგვლივ მყოფებისთვის. აუცილებელია მოზარდებს ჰქონდეთ უსაფრთხოების და დაცულობის განცდა, რაც გაუადვილებს მოზარდებს სტრესული პერიოდის ჯანსაღად გადალახვას.

საკუთარი სტრესისა და ემოციების მართვა ახლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა სტრესულ ინფორმაციას გადავაწყდეთ, შევეცადოთ, ბავშვებს არ გადავდოთ უარყოფითი ემოცია. ვიზრუნოთ მათზე სიმშვიდის პირობებში. პანდემია გაივლის, ბავშვების დაზიანებული ფსიქიკის აღდგენას კი ძალიან დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

ექსპერიმენტი ბავშვებზე – უწყინარი კვლევა შოკისმომგვრელი შედეგებით

12-18 წლის ბავშვებს შესთავაზეს, მოხალისეებად მიეღოთ მონაწილეობა ექსპერიმენტში. მათ 8 საათი უნდა გაეტარებინათ მარტოობაში ყოველგვარი კომუნიკაციო საშუალებების გარეშე. აკრძალული ჰქონდათ კომპიუტერის, რადიოსა და ტელევიზორის ჩართვა. სამაგიეროდ ყველა კლასიკური თავშესაქცევით შეეძლოთ სარგებლობა - წერილის წერით, კითხვით, მისკალურ ინსტრუმენტზე დაკვრით, ქსოვით, ქარგვით, ხატვით, სიმღერით და ა.შ.

ექსპერიმენტის ავტორი ოჯახურ საკითხთა ფსიქოლოგი იყო, რომელსაც უნდოდა დაემტკიცებინა, რომ თანამედროვე ბავშვებს არ შეუძლიათ საკუთარი თავთან მარტო დარჩენა, რადგან საერთოდ არ იცნობენ საკუთარ “მეს”. ექსპერიმენტის მიხედვით, ბავშვებს დაწვრილებით უნდა მოეყოლათ, რას გრძნობდნენ 8-საათიანი მარტოობის დროს. შეეძლოთ წერილობით გადმოეცათ, აუტანელი დისკომფორტის შემთხვევაში კი უფლება ჰქონდათ, შეეწყვიტათ ექსპერიმენტი. თუმცა აუცილებლად უნდა აეხსნათ მიზეზიც.

ფსიქოლოგი დარწმუნებული იყო, რომ ძალიან უწყინარ კვლევას აწარმოებდა, რომელიც ყოვლად უსაფრთხო იქნებოდა ბავშვებისთვის. ასეთ შოკისმომგვრელ შედეგებს ნამდვილად არავინ ელოდა. 68 მონაწილიდან ბოლომდე, ანუ 8 საათი, მხოლოდ სამმა მათგანმა გაძლო - ერთმა გოგონამ და ორმა ბიჭმა. სამს სუიციდური აზრები გაუჩნდა, ხუთს “მწვავე პანიკის შეტევა” განუვითარდა. 27 მონაწილეს ვეგეტატიური სიმპტომები - გულისრევა, თავბრუსხვევა, ცხელება, მუცლის ტკივილი დაეწყო. შიშისა და შფოთვის ნიშნები კი ყველა მონაწილეს ჰქონდა.

უმეტესობამ ექსპერიმენტი 1-2 საათის შემდეგ შეწყვიტა. მხოლოდ 10-მა ადამიანმა შეწყვიტა მეოთხე საათზე.

გოგონამ, რომელმაც ექსპერიმენტს ბოლომდე გაუძლო, შეთანხმებისამებრ თავისი დღიური წარუდგინა ფსიქოლოგს, სადაც იმ ავბედითი 8 საათის განმავლობაში თავის მდგომარეობას აღწერდა. სხვათა შორის, ეთიკური ნორმების გამო ფსიქოლოგმა ამ დღიურის გამოქვეყნებაზე უარი თქვა.

რას აკეთებდნენ მოზარდები ექსპერიმენტის მსვლელობისას?

- ამზადებდნენ საჭმელს და ჭამდნენ.

- კითხულობდნენ, ან ცდილობდნენ წაეკითხათ.

- მეცადინეობდენენ (იმ დროს არდადეგები იყო, მაგრამ მოწყენილობისგან ზოგიერთი რატომღაც სახელმძღვანელოებს ეცა).

- ფანჯარაში იყურებოდნენ და ან ოთახში მიდი-მოდიოდნენ.

- გადიოდნენ მაღაზიაში ან კაფეში, კომუნიკაცია აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ გამყიდველები სათვალავში ჩასაგდებნი არ იყვნენ..

- ხსნიდნენ თავსატეხებს ან აწყობდნენ “ლეგოს” კონსტრუქტორებს.

- ხატავდნენ ან ცდილობდნენ ეხატათ.

- ბანაობდნენ.

- ალაგებდნენ ოთახს.

- ეთამაშებოდნენ ძაღლსა და კატას.

- ვარჯიშობდნენ.

- თავიანთ აზრებს იწერდნენ.

- უკრავდნენ.

- 3 მათგანი ლექსებს წერდა.

- ერთმა ბიჭმა 5 საათის განმავლობაში იარა ხან ავტობუსით, ხან მეტროთი.

- ერთი გოგონა ქარგავდა.

- ერთი ბიჭი პარკში ატრაქციონებზე წავიდა და 3 საათის განმავლობაში ქანაობდა, რისგანაც გულისრევები დაეწყო.

- ერთი ბავშვი ზოოპარკში წავიდა, ერთიც - მუზეუმში.

- ერთი გოგონა ლოცულობდა.

ექსპერიმენტის ბოლოს 14 მოზარდი მაშინვე სოციალურ ქსელში “შეძვრა”, 20-მა მეგობრებს დაურეკა მობილურით, სამმა მშობლებს დაურეკა, ხუთი მეგობრებთან შესახვედრად წავიდა. დანარჩენებმა ტელევიზორი ჩართეს ან კომპიუტერულ თამაშებს მიუსხდნენ. გარდა ამისა, თითქმის ყველა მონაწილემ თითქმის მაშინვე გაიკეთა ყურსაცვამები და მუსიკის მოსმენა დაიწყო.

რით იყვნენ დაკავებული ის ბიჭები, რომლებმაც ბოლომდე გაუძლეს ექსპერიმენტს? ერთ-ერთი მათგანი მთელი 8 საათის განმავლობაში იალქნიან გემს აწებებდა. მეორე ბიჭი კი თავისი კოლექციით ერთობოდა. არც ერთ მათგანს ნეგატიური ემოციები და უცნაური გრძნობები არ გამოუვლენია.

ბოლო ათწლეულები ბავშვები უფრო და უფრო მეტ დროს ატარებენ ეკრანებთან, იქნება ეს ტელევიზორი, სმარტფონი თუ კომპიუტერი. ბუნებრივია, კვლევების გარეშეც შეიძლება მივხვდეთ, რომ პატარის ეკრანთან მიჯაჭვულობა კარგი არ არის, რომ ბაღის ასაკის ბავშვი თამაშის მაგივრად ეკრანთან გაუნძრევლად ჯდომა არაბუნებრივია.

რა თქმა უნდა მშობლისათვის, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში უამრავი საოჯახო საქმე აქვს მოსაგვარებელი, ერთ ადგილზე წყნარად მჯდომი ბავშვი კომფორტია, მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ჩვილობიდან ახლახან გამოსული ბავშვი ეკრანთან ერთ საათზე მეტ დროს ატარებს? ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დიდ ქალაქებში დგას. საქართველოს მასშტაბით თბილისში უფრო დიდია ალბათობა, რომ მეტი ბავშვი და შესაბამისად მისი ოჯახი იყოს ეკრანზე დამოკიდებული ვიდრე სხვა, შედარებით პატარა ქალაქებსა თუ სოფლებში.

ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ის ბავშვები, რომლებიც 1 საათზე მეტს ატარებდნენ ეკრანთან და მშობლებთან ურთიერთობის დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ტვინის თეთრი ნივთიერება ნაკლებად განვითარებული აქვთ.

კვლევის მიხედვით საშუალოდ 2 - 5 საათი ეკრანთან ყოფნა აფერხებს ბავშვების ყურადღების მდგრადობას და და თავისუფალ აზროვნებას. ამ დროს იზრდება კვების დარღვევების ჩვევების რისკიც და ქცევის პრობლემებიც.

ეკრანთან გატარებული ჭარბი დრო ასევე აჩვენებს მეტყველების დაგვიანებას, ძილის პრობლემებს, ძირითადი ფუნქციების მოშლას და აქვეითებს მშობლისა და შვილის ურთერთობის ხარისხს...

ერთი სიტყვით პრობლემა იდენტიფიცირებულია, აღწერილი ვითარება ნაცნობია, ძალიან ბევრ შემთხვევაში იგი ჩვენს უახლოეს გარემოცვაშიც გვხვდება.

სავალალო შედეგებია, ასე რომ ძვირფასო მშობლებო, შვილებთან ხშირად იურთიერთეთ, გაითვალისწინეთ მათი სურვილები, საჭიროებები და ინტერესები.

გვერდის მასალები მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ქართველი დიზაინერი ამერიკაში

/დასაწყისი გვ.2 /



მომღერალი სელენა გომეზი თეას კაბაში

„შევაშინე“ (იცინის). არის მედიტაციური ვარჯიშები, როცა შენს ორგანიზმში შედიხარ და დაავადებას ბლოკავ. ნამდვილად არ ვიცი, იღბლიანი გამოვდექი, თუ რკინის, მაგრამ ფაქტია, ჩემი ქრონიკული დაავადებების ფონზე ვირუსი მშვიდად და გართულებების გარეშე მიმდინარეობს და იმედია, მალე დავამარცხებ. ისე კარგად ვგრძნობ თავს, ამერიკელი ექიმები „მეკაიფებიან“ კორონაც მიხვდა, გადაღლილი რომ ხარ და იფიქრა, დავასვენოთ ცოტა ხანი, მთელი ცხოვრება ვირივით მუშაობს საწყალიო (იცინის). ოჯახში ჩემებმა არ ინერვიულონ, ცოტას გავართობ-მეთქი, ვიფიქრე და ტიკ-ტოკების ჩაწერა დავიწყე, იმათმა კიდევ - გაგიჟდა, რა დროს ხალისია ამ დროსო (იცინის). ხალისი არ მქონდა, მაგრამ ბავშვი რომ ფიქრობდა, დედა არ მომიკვდესო, მის გამო დავიწყე ჩაწერა. მინდა, ყოველ დილას, კომპიუტერს რომ ჩართავს, ჩემი ტიკ-ტოკი დახვდეს, გახალისდეს და დარწმუნდეს, რომ კარგად ვარ და ჩემზე არ ინერვიულოს. მართლა კარგად ვარ, არანაირი სიმპტომი აღარ მაქვს და ვარკვევ, რამდენი ხანია ინკუბაციის პერიოდი და რამდენ ხანს შეიძლება, იყოს გადამდები ვირუსი, რადგან სამსახურში მელოდებიან და მალე უნდა გავიდე სამუშაოდ. ის მოსაზრება, რომ თუ ქრონიკული დაავადებების მატარებელი ხარ, ვირუსი რთულდება და ხშირ შემთხვევაში ლეტალურად სრულდება, მითია. კიდევ ვამბობ, ძალიან დიდი შიში მქონდა ჩემი დაავადებების ფონზე- რომ შემხვდეს, არ მოვკვდე-მეთქი, მაგრამ ფაქტია, კარგად ვარ. ზოგადად, როცა პრობლემა მაქვს, გადარჩენის ინსტიქტი მერთვება, ჩემს თავზე ვმუშაობ. ახლაც ჩავრთე ეს გადარჩენის ინსტიქტი და ყველაფერი კარგადაა. სხვათა შორის, ვცდილობ მაქსიმალურად მოვერიდო ინფორმაციის მოსმენას, რომ სიმშვიდე შევინარჩუნო.

- ყველაფერი რომ დასრულდება, როგორ გგონია, რა შეიცვლება სამყაროში და ზოგადად ურთიერთობებში?

-ადამიანებმა ნდობა და სითბო დაკარგეს ერთმანეთის მიმართ, თითქოს დაშორდნენ. იმედი მაქვს, ეს ნდობა დაბრუნდება და დავაფასებთ ჩახუტებასა და სიყვარულს. კიდევ, დადებითი მხარე ის აქვს, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენის საშუალება მოგვეცა და ცხოვრება უფრო მეტად გავაანალიზეთ, ბევრი რამ გადავაფასეთ, მაგალითად, ის, რომ ფული არ არის მთავარი. რომ, ფულით ყველაფერს ვერ იყიდი, მით უმეტეს, ჯანმრთელობას. ფულში რომ არ არის ბედნიერება და მთავარია ჯანმრთელობა, ერთმანეთის სიყვარული და გვერდით დგომა, ეს აშკარად დაგვანახა კორონავირუსმა. ასე რომ, ამ ვირუსსაც მალე დავამარცხებ, ორ კვირაში ანტისხეულებზე განმეორებით ტესტს გავიკეთებ, რომ დავრწმუნდე, არ ვარ გადამდები და სხვებს არ შევუქმნი პრობლემას და მერე ჩემს საყვარელ საქმიანობას დავუბრუნდები. აუცილებლად დავამარცხებ ვირუსს, ტყუილად როდი მეძახიან ამერიკელი ექიმები „რკინის გოგოს“ (იცინის).

ჟურნალი “თბილისელები”

მეხანძრე-მაშველებმა ზვავში მოყოლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, სამდღიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ, მეხანძრე-მაშველებმა ფშაველი-ომალოს დამაკავშირებელი გზის 36-ე კილომეტრზე, ზვავში მოყოლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

უწყების ცნობით, ადგილზე მობილიზებული იყო 5 ეკიპაჟი და სპეცტექნიკა. მიმდინარეობდა ხევის აეროდინამიური მონიტორინგი. საძიებო სამუშაოებს მძიმე მეტეოროლოგიური პირობები ართულებდა. ჰიდროლოგების ინფორმაციით, ხეობაში ჩამონვა 532 000 ტონა თოვლის და მიწის მასა. მუდმივად იყო ზვავის გამეორების საფრთხე.

„გზის მონაკვეთზე ზვავის ჩამოწოლის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ “112”-ში სამი დღის წინ შემოვიდა. ზარის ინიციატორის განცხადებით, შემთხვევის შედეგად დაშავებული იყო ორი მოქალაქე. მათ შორის ერთი, სხვადასხვა დაზიანებით, გადაყვანილია საავადმყოფოში და უტარდება შესაბამისი სამედიცინო დახმარება. მეორე, დაკარგულ მოქალაქეს 8 მაისამდე ეძებდნენ.

კახეთის სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გარდა, შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს მაშველები თბილისიდან. ადგილზე მობილიზებული იყო ყველა შესაბამისი სამსახური”, -ნათქვამია ინფორმაციაში.

მონატრება

ფიქრია ქადაგიძე

ჩემო უსაყვარლესო ქმარშვილო, გაუსაძლისი ტკივილი მომაყენა თქვენმა სიკვდილმა. ყველაზე მძიმე მაინც შვილის სიკვდილი ყოფილა. ცხოვრებამ ჩემთვის აზრი დაკარგა, რადგან ჩემი შვილის გარდაცვალება ადრეულ ასაკში მოხდა. ჩემო ფიქრია, ისევ მოვიდა აღდგომა, მაგრამ უშენოდ. ისედაც ყველაზე მძიმე დღე, წითელი პარასკევი ჩემთვის ორმაგად გაუსაძლისი გახდა. „ დედა, წითელი კვერცხები შეღებეო“- შეგისრულე უკანასკნელი სურვილი და ამქვეყნიური ცხოვრებაც დაასრულე. 8 მაისს ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ჩემო კეთილო, კარგო ადამიანო, ვერაფრით ამიხსნია რატომ გაგვწირა ბედმა. შენ და შენმა ძმამ „საჩუქრები გაცვალეთ“- შავი პერანგი და სამუდამო განსასვენებელი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი შვილმკვდარი დედა ამდენს თუ შევძლებდი, მაგრამ ცხოვრებას მკაცრი კანონები ჰქონია. ფიქრია, შვილო, ძალიან დაბნეული ვარ, იქნებ სიზმრად მაინც მოხვიდე ჩემთან და შენებურად დამარიგო, როგორ მოვიქცე, როგორ გავაგრძელო ცხოვრება. ქუჩაში რომ გამოვდივარ, თვალებით სულ შენ გეძებ. ასე მგონია, შეგხვდები სადმე ისევ ისეთ სიცოცხლით და ენერგიით სავსეს, მაგრამ ამაოდ... ძალიან ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ შენ ამქვეყნად აღარ მყავხარ, ჩემო ლამაზო შვილო. ისე გაუსაძლისად მომენატრები ხოლმე, მზად ვარ ყველა და ყველაფერი მივატოვო და შენთან წამოვიდე, მაგრამ შენი ძმის, მურადის გამო შეუძლებელი უნდა შევძლო, რადგან მე ვარ მისთვის ყველაფერი და ვერ ვუღალატებ. ერთი იმედი მასულდგმულებს - შენ და მამაშენი ერთმანეთს მიხედავთ. ჩვენ კი უნდა გავუძლოთ უშენობას იმ ლამაზი მოგონებებით, რომელიც შენ დაგვიტოვე. ყველას ენატრები შვილო : შენს შვილებს, შვილიშვილებს, ძმისშვილებს, დეიდებს, დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს, მეგობრებს, მეზობლებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებს. იმედია, უფალი შენს მიერ სწორად განვლილი ცხოვრების გამო დაგიმკვიდრებს სასუფეველს. მე კი ყოველთვის ვილოცებ შენი სპეტაკი სულისთვის.

შენი დედა
ლილი ქადაგიძე (პოპიაშვილი)

დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1982-83 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნანული ნატროშვილი, იუწყებიან
დავით ბერიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ნაირა, ციხელო, გულნარა გორაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობას უცხადებენ ხათუნა გორაშვილს და გია იაკობიშვილს მამის
ოზიმარდი (ოზო) იაკობიშვილის
გარდაცვალების გამო.

კონკურსი დასრულდა, გამარჯვებულები გამოვლენილია

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა დაასრულა ონლაინ კონკურსი: „კორონა, დედამიწა, კარანტინი“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვებში. გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც. როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა, თამარ ლაპიაშვილმა განაცხადა, „კონკურსში მონაწილეობდნენ ხორნაბუჯის, საპატრიარქოს, ქალაქ დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეები და პედაგოგი რუსუდან კიკილაშვილი. გამოვავლინეთ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში. პირველი ადგილი საუკეთესო ნახატისთვის დაიმსახურა ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლემ ლიკა ჯინაშვილმა, მეორე ადგილი ერგო პირველი სკოლის მოსწავლეს რუსუდან გონაშვილს, მესამე ადგილი კი კვლავ ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეს დიანა ჩხიტუნიძეს. საუკეთესო ჩანახატით პირველი ადგილის მფლობელია ქვემო ქედის სკოლის უნიჭიერესი მოსწავლე მარიამ ტოხიშვილი. საუკეთესო ლექსისთვის დაჯილდოვდება კონკურსის პატარა მონაწილე, პირველი სკოლის მოსწავლე დაჩი ივანიძე . სიმღერის საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა საპატრიარქოს სკოლის მოსწავლე გიორგი კოჭლამაზაშვილი. ვულოცავთ გამარჯვებულებს და ვუსურვებთ კვლავ წარმატებებს. გვინდა, მკითხველს შევახსენოთ, რომ ნამუშევრები ფასდებოდა ,,ლაიქებით''. გარდა საპრიზო ადგილებისა, იყო ძალიან საინტერესო და თემატური ნახატები, გამოვყოფდით მარიამ ყოჩიაშვილს და მარინა მულიგინას. ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ საპრიზო ადგილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იაქტიურეს გულშემატკივრებმა. ყველა მონაწილის ნახატიდან ჩანს, რომ ბავშვებმა კარგად გაიაზრეს ვირუსის საფრთხე და ეს შესანიშნავად გამოხატეს თავიანთ ნამუშევრებში, ამისთვის დიდი მადლობა მათ. დიდი მადლობა პატარა მონაწილეებს, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი დავალებას. კიდევ ერთხელ ვულოცავთ გამარჯვებულებს და უღრმესი მადლობა მონაწილეებს, მათ მასწავლებლებს და გულშემატკივრებს. და ბოლოს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი გამოაცხადებს ახალ კონკურსს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ბავშვთა დაცვის დღეებთან დაკავშირებით. დაწვრილებით ინფორმაციას მოგაწვდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის-სახლის ვებ.გვერდზე“.

ულოცავენ!

ზურაბ ჯორკოშვილს!

ჩვენს ძვირფას მეზობელს ბატონ ზურაბს ვულოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მეუღლესთან- ულამაზეს ელენესთან, ერთადერთ დასთან -კესოსთან , სიძესთან- ზურაბთან, დისშვილებთან-რატისა და ლაშასთან ერთად, რადგან ისინი არიან მისი ცხოვრების საყვარელი თანამგზავრები. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.

მერაბ კოსტავას ქუჩაზე მცხოვრები ახალგაზრდა თაობის სახელით:
სოსო ბერულაშვილი, პაატა და ზაზა ედილაშვილები, ლევანი, ირაკლი, ლუკა,ლაშა,ლიკა თავაძეები, გიორგი, რეზო ჯანყარაშვილები, არსენა, დათო ყოჩიაშვილები, გიორგი და ნიკოლოზ გოგობერიშვილები, ნუგზარი, ლიკა, გიორგი ნიკვაშვილები, გიგა შანშაშვილი ოჯახებით.

ციცინო ჩაფიაშვილს!

ძვირფასო ქალბატონო ციცო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს დიდსა და ლამაზ ოჯახთან ერთად. თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მუდამ სითბოს და სიყვარულს თესავთ და იმკით კიდეც სამაგიეროდ. სულ მუდამ აქტიურად იყავით ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათ შორის ჩვენი ასოციაციის მიერ გამართულ ღონისძიებებში. გვაოცებთ თქვენი ახალგაზრდული შემართებით. იყავით კვლავაც მხნე და ხალისიანი.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა და წევრები.

ყურადღება!

მათ, ვისაც სურვილი აქვს, დარეგისტრირდეს პანდემიის პირობებში სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარებების მისაღებად, შეუძლიათ მიმართონ შპს „ლაშარი“+ -ის და შპს „ბუღალტერია ანალიზი აუდიტის“ ოფისს, სადაც გაგიწევენ კონსულტაციას და უზრუნველყოფენ თქვენს დარეგისტრირებას შესაბამისი ფორმების შევსებით.

დარეგისტრირება უნდა მოხდეს მიმდინარე წლის 1 ივნისამდე.

დახმარების გაცემის საკითხი წყდება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში.

დახმარების მოთხოვნა შეუძლიათ პირებს, რომელთაც აღარ ერიცხებათ ხელფასი, ან დასაქმებულნი იყვნენ, მაგრამ არ არიან დარეგისტრირებულნი საგადასახადო ორგანოში. ასევე, ბაზრობის დახლზე მოვაჭრე პირებს; პირებს, რომელთაც დასახლებული პუნქტიდან მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებს შორის გადაჰყავდათ მგზავრები ან საჯარო სკოლის მოსწავლეები; პირები, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანას, პირები , რომლებიც დღიურად აქირავებენ კუთვნილ საცხოვრებელ ფართებს, ან რომლებიც ამზადებენ სუვენირებს ან პირები, რომელნიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აბარებენ საცხობს, რესტორანს, მაღაზიას; ასევე პირი, რომელიც მუშაობს ძიძად, ხელოსნად, დამლაგებლად ან სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოზე.

დახმარების მიღებაზე მსურველთა რეგისტრაცია დაიწყება მიმდინარე წლის 15 მაისიდან 1 ივნისამდე. ი ჩ ქ ა რ ე თ!!!

ეცადეთ, დაუდევრობის გამო არ დარჩეთ კუთვნილი სახლემწიფო დახმარების გარეშე!

591 22 44 95 გენადი
593 28 11 46 ნინო

მადლიერება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ხორნაბუჯიდან გიორგი გოგილაშვილი და სოფლის მოსახლეობა, მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრს, რომელთაც ხორნაბუჯის სასაფლაოს ტერიტორია აღდგომის დღესასწაულისთვის და შემდგომ დღეებშიც, შესანიშნავად დაასუფთავეს.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.05	სამშაბათი 12.05	ოთხშაბათი 13.05	ხუთშაბათი 14.05	პარასკევი 15.05	შაბათი 16.05	კვირა 17.05
დღე	14°	15°	18°	18 °	14 °	15°	15 °
ღამე	10 °	12 °	12°	11 °	11 °	11 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.